

გუმბარიძე ლია, გასოიანი ნინო,
ბარამიძე ლევან, ჭულუხაძე ხვიჩა

თვითმკურნალობის პრაქტიკა საქართველოში და მასთან დაკავშირებული აქტუალური საკითხები


თსსუ, საზოგადოებრივი ჯანდაცვის, მენეჯმენტის,
პოლიტიკისა და ეკონომიკის დეპარტამენტი

თვითმკურნალობა და მისი მაღალი გავრცელება წარმოადგენს გლობალური ჯანმრთელობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევას, რომლის მაჩვენებელი, მსოფლიოს მასშტაბით, მერყეობს 11.7%-დან 92%-მდე. აღნიშნული პრობლემა განსაკუთრებით აქტუალურია განვითარებადი ეკონომიკის ქვეყნებში, სადაც ჯანდაცვის სერვისებზე ხელმისაწვდომობა შეზღუდულია.^[1]

თვითმკურნალობა განისაზღვრება, როგორც მედიკამენტების შერჩევა და გამოყენება ინდივიდების (ან ინდივიდის ოჯახის წევრის) მიერ თვითაღიარებული ან თვითდიაგნოსტირებული მდგომარეობების (დაავადებების) ან სიმპტომების სამკურნალოდ.^[2]

აღსანიშნავია რამდენიმე სარგებელი, რომელიც უკავშირდება გათვითცნობიერებულ თვითმკურნალობას, მათ შორისაა: მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა, პაციენტის როლის ზრდა და ინფორმირებულობის ამაღლება საკუთარი ჯანმრთელობის პრობლემებზე. ასევე, კვლევებმა აჩვენა, რომ თვითმკურნალობას გააჩნია ჯანდაცვის სისტემის ფინანსური ტვირთის შემსუბუქების დიდი პოტენციალი. თუმცა, არაგაცნობიერებულმა თვითმკურნალობამ შესაძლოა გამოიწვიოს არასასურველი შედეგები, რომლებიც შემდეგ პოტენციურ რისკებს მოიცავს: არასწორი თვითდიაგნოზი, სამედიცინო რჩევის დაგვიანება, იშვიათად, მაგრამ მაინც მძიმე გვერდითი რეაქციები, ნამღლების სახიფათო ურთიერთქმედება, გართულებები, რომლებიც დაკავშირებულია მედიკამენტის არასწორ მიღებასა და დოზირებასთან.^{[3][4,5]}

აღნიშნული პრობლემა აქტუალურია საქართველოშიც, სადაც თვითმკურნალობის პრაქტიკა საზოგადოებრივი ჯანმრთელობის მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს. საერთაშორისო ფონდ „კურაციო“-ს მიერ განხორციელებულმა კვლევამ ცხადჰყო, რომ საქართველოს მოსახლეობა ნაკლებად მიმართავს ამბულატორიულ სამედიცინო დაწესებულებებს და ჯანმრთელობის სხვადასხვა პრობლემების დროს არჩევანს თვითმკურნალობაზე აკეთებს. კვლევამ, ასევე, გამოკვეთა, რომ თანხის ჯიბიდან გადახდები წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან ბარიერს სამედიცინო სერვისების გამოყენების თვალსაზრისით. პაციენტების მხრიდან მაღალი იყო მგრძნობელობა სერვისების ფასის ცვლილებაზე. აღსანიშნავია, რომ ამბულატორიული სერვისების ღირებულების 1 ლარით ზრდა, სერვისების მოხმარების 2%-იან შემცირებას იწვევს.^[6] ქვეყნის მასშტაბით დიდ გამოწვევას წარმოადგენს ფარმაცევტულ პროდუქტებზე დანახარჯები. საქართველოში ჯანდაცვის მთლიან დანახარჯებში მედიკამენტების ხარჯების წილი 38%-ს შეადგენს. ამ მაჩვენებლით ქვეყანა პირველ ადგილს იკავებს ევროპის რეგიონის ქვეყნებს შორის. დანახარჯების ძირითადი წილი, ამბულატორიულ მედიკამენტებზე, მოსახლეობის მიერ ჯიბიდან გადახდილი თანხებია (დიაგრამა 1).^{[7][8]}



წყარო: ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია. ^[9]

დიაგრამა 1

მოსახლეობის ჯიბიდან ჯამური ხარჯები ჯანდაცვის მომსახურების ტიპის მიხედვით

მედიკამენტების მიმართ ხელმისაწვდომობა განსაკუთრებით პრობლემურია მოსახლეობის უღარიბესი ფენისთვის, რომელთა 90% განიცდის ჯანდაცვაზე კატასტროფულ დანახარჯს ანუ კიდევ უფრო ღარიბდება.^[9]

კვლევის მიზანი იყო საქართველოში მოსახლეობის თვითმკურნალობის პრაქტიკის შესწავლა და მასთან დაკავშირებული ძირითადი ფაქტორებისა და მიზეზების შეფასება.


კვლევის მეთოდოლოგია: კვლევა განხორციელდა რაოდენობრივი გამოკითხვის მეთოდის გამოყენებით. კვლევის დიზაინი მოიცავდა ერთმომენტიან ჯვარედინ კვლევას, ხოლო შერჩევის ტიპი იყო მარტივი შემთხვევითი შერჩევა. კვლევა ჩატარდა ანონიმურობისა და კონფიდენციალობის დაცვით. გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 310 რესპოდენტმა. კითხვარი გავრცელებული იქნა სოციალური ქსელების მეშვეობით.

კვლევის შედეგები: ჩატარებული კვლევის შედეგებმა ცხადყო საკითხის აქტუალობა და სიმწვავე საქართველოში. კვლევაში მონაწილე პირების უდიდესმა ნაწილმა (93,1%) აღნიშნა, რომ

მიმართავს თვითმკურნალობას და უარს ამბობს ექიმთან კონსულტაციაზე ჯანმრთელობის სხვადასხვა პრობლემების დროს; თვითმკურნალობის განსაკუთრებით მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა მსუბუქად მიმდინარე დაავადებების შემთხვევაში (70,6%).

კვლევამ გამოავლინა, რომ თვითმკურნალობისთვის ინფორმაციის წყარო შეიძლება იყოს: ახლობლის გამოცდილება (60,6%), ფარმაცევტის რჩევა (38,8%), ექიმის მიერ გამოწერილი წინა დანიშნულება (38,8%) და სხვადასხვა საშუალებებით გავრცელებული რეკლამა (21,8%).


გამოკითხულთა უმრავლესობამ აღნიშნა, რომ უარს ამბობს ექიმთან ვიზიტზე მოცდის ხანგრძლივი დროის (67,1%) და ექიმთან კონსულტაციის დროის უქონლობის გამო (50,5%). კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ რესპოდენტთა ნაწილს წარსულში ჰქონდა ექიმთან კონსულტაციის უარყოფითი გამოცდილება (12,5%), იგრძნო გულგრილობა (13,1%), არ ენდობა ექიმთა კვალიფიკაციას (18,3%) და აქვს მათ მიმართ ნაკლები ნდობა (19,4%) (დიაგრამა 2).



დიაგრამა 2

რატომ ამბობთ უარს ექიმთან მისვლაზე?

კვლევით დადასტურდა, რომ გამოკითხულთა დაახლოებით მესამედს (36,3%) უარი უთქვამს ექიმის მიერ გამოწერილ მედიკამენტზე, რადგან თვლის, რომ ექიმმა ბევრი სახეობის მედიკამენტი (45,9%), მათ შორის ერთი და იგივე მოქმედების სხვადასხვა მედიკამენტი (34,5%), დაუნიშნა. აღსანიშნავია, ფარმაცევტების როლი თვითმკურნალობის არსებული პრაქტიკის გავრცელებაში. რესპოდენტთა 34,9% მიმართავდა თვითმკურნალობას, რადგან ფარმაცევტებთან ახერხებდა მათთვის საჭირო ინფორმაციის მიღებას და ექიმის მიერ გამოწერილ მედიკამენტზე იაფი პრეპარატის შეთავაზებას და შეძენას (დიაგრამა 3).



დიაგრამა 3
რატომ ამბობთ უარს ექიმის მიერ დანიშნულ მედიკამენტზე?
(შესაძლებელი იყო რამდენიმე პასუხის მონიშვნა)

რესპოდენტები აქტიურად მიუთითებდნენ ექიმებისა და ფარმაცევტული კომპანიების კავშირზე. მათი თქმით, ექიმები ხშირად, ეკონომიკური სარგებლის მიღების მიზნით, ერთვებიან გაყიდვის პროცესში და ძვირადღირებულ ბრენდულ მედიკამენტებს ნიშნავენ.

თვითმკურნალობამ შეიძლება მრავალი არასასურველი შედეგი გამოიწვიოს. თუმცა, მიუხედავად არსებული რისკებისა, მოსახლეობა არ ერიდება თვითნებურად მედიკამენტების ფართო ჯგუფის გამოყენებას. თვითმკურნალობისთვის ყველაზე ხშირად გამოყენებული მედიკამენტებია: ტკივილგამაყუჩებლები (78,2%), სიცხის დამნევი საშუალებები (60,2%), ვიტამინები (36,7%), ხველის საწინააღმდეგო, ამოსახველებელი საშუალებები (33,2%), ანტიალერგიული (29,4%), წნევის მარეგულირებლები (20,1%).

კვლევაში განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა ანტიბიოტიკებზე და რესპოდენტებში მისი გამოყენების პრაქტიკის შესწავლაზე. როგორც გაირკვა, გამოკითხულთა 42,6% აქტიურად იყენებდა ანტიბიოტიკებს თვითმკურნალობის დროს. ყველაზე ხშირად მას იყენებდნენ მაღალი ტემპერატურის (68,7%), ყელის ტკივილისა და ხველის (66,4%) დროს. გამოკითხულთა შედარებით მცირე ნაწილი ანტიბიოტიკებს იყენებდა დიარეის (9,2%), კანის დაზიანებებისა და ჭრილობების (6,9%) დროს.


თვითმკურნალობის უკანასკნელი ეპიზოდის შეფასებისას გამოკითხულთა 57,8%-მა აღნიშნა, რომ პრეპარატი დაეხმარა ჯანმრთელობის მდგომარეობის

გაუმჯობესებაში. 36%-მა დააფიქსირა, რომ მას არავითარი შედეგი არ მოჰყოლია, ხოლო რესპოდენტების 6,2%-მა აღნიშნა, რომ თვითმკურნალობამ გამოიწვია მათი ჯანმრთელობის მდგომარეობის გამწვავება.

აღსანიშნავია, ჯანმრთელობის მდგომარეობასა და თვითმკურნალობის პრაქტიკას შორის გამოვლენილი კავშირი. კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ ქრონიკულად დაავადებული ადამიანების 45% ხშირად და თითქმის ყოველთვის მიმართავდა თვითმკურნალობას. მაშინ, როდესაც ჯანმრთელი რესპოდენტების

მხოლოდ 20% და ხშირად მოავადე პირების 16% მიმართავდა თვითმკურნალობას ჯანმრთელობასთან დაკავშირებული სხვადასხვა პრობლემების დროს.

გამოკითხვაში მონაწილე მოქალაქეებს ვთხოვეთ შეეფასებინათ საქართველოში მედიკამენტების ფინანსურად ხელმისაწვდომობის დონე. რესპოდენტთა მხოლოდ 15% დაეთანხმა მათ ხელმისაწვდომობას, ხოლო გამოკითხულთა უმრავლესობამ ამ მიმართულებით არსებულ პრობლემებზე გაამახვილა ყურადღება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გამოკითხულთა უმრავლესობის (30%) თვითური შემოსავალი 1,000-1,500 ლარის დიაპაზონში მერყეობდა, ხოლო 17%-მა დააფიქსირა შემოსავალი, რომელიც 1,000 ლარს არ აღემატებოდა. ეს შედეგი ცხადყოფს, რომ საქართველოში შემოსავლები დიდწილად დაბალია. რაც, სავარაუდოდ, კიდევ უფრო უწყობს ხელს თვითნებური მკურნალობის გავრცელებას (დიაგრამა 4).



დიაგრამა 4

როგორ ფიქრობთ რამდენად ხელმისაწვდომია ფინანსურად მედიკამენტები საქართველოში?

ამრიგად, თვითმკურნალობა ჯანდაცვის სფეროს ერთ-ერთი აქტუალური საკითხია მთელ მსოფლიოში, მათ შორის საქართველოშიც. ქვეყანა გამოირჩევა ამბულატორიულ დაწესებულებებში დაბალი მიმართვიანობით და მაღალი დანახარჯებით მედიკამენტებზე, რაც, თავის მხრივ, მიანიშნებს პირველადი ჯანდაცვის სისტემის არაეფექტურ საქმიანობაზე.

ჯანმრთელობასთან დაკავშირებული სხვადასხვა პრობლემის აღმოცენებისას დროის, ფინანსებისა თუ რესურსების დაზოგვის მიზნით, პაციენტები ხშირად მიმართავენ თვითმკურნალობას, ექიმთან კონსულტაციის გარეშე. ისინი ხშირად ოჯახის წევრთა/ნაცნობთა გამოცდილებაზე, ფარმაცევტთა რეკომენდაციაზე ან/და რეკლამაზე დაყრდნობით ახდენენ დაავადებათა თვითდიაგნოსტიკას და იწყებენ მათ მართვას.

თვითმკურნალობის მზარდ ტენდენციაზე გავლენას ახდენს დროისა და ფინანსური რესურსების ნაკლებობა, ჯანდაცვის სერვისების სიმწირე და მედიკამენტებზე ფართო ხელმისაწვდომობა.

სამედიცინო დაწესებულებებში სერვისების მიღება ხშირად დაკავშირებულია დიდ დისკომფორტთან. რესპოდენტთა მნიშვნელოვანმა ნაწილმა აღნიშნა კლინიკებში ვიზიტების დაგეგმვისას მოქნილობისა და მოცდის ხანგრძლივობასთან დაკავშირებული პრობლემები, რაც წარმოადგენს ერთ-ერთ პირველად შემდეგად ფაქტორს პროფესიული სამედიცინო დახმარების ძიებაში.

დიდია თვითმკურნალობის პრევალენტობაზე ფარმაცევტული სექტორის გავლენა. სწორედ ფარმაცევტული ინდუსტრიის მხრიდან აგრესიული მარკეტინგის შედეგია არარაციონალური ფარმაკოთერაპია, რაზეც მეტყველებს მედიკამენტებზე მაღალი დანახარჯები.

ლიტერატურა:

1. Pragati Rathod, Sarita Sharma, Ujwala Ukey, Bhagyashri Sonpimpale, Suresh Ughade, Uday Narlawar, Sanju Gaikwad, Parvati Nair, Pushkar Masram, Snigdha Pandey, „Prevalence, Pattern, and Reasons for Self-Medication,” 2023
2. D. Bennadi, „Self-medication: A current challenge,” 2013
3. Joshua Noone; Christopher M. Blanchette, „The value of self-medication: summary of existing,” 2017
4. M. E. Ruiz, „Risks of self-medication practices,” 2010
5. Khushal P Ghodkhande, Sonali G Choudhari, Abhay Gaidhane, „Self-Medication Practices Among the Geriatric Population,” 2023
6. ს. ფ. კურაციო, „ამბულატორიული სერვისების გამოყენებასთან დაკავშირებული ფაქტორების კვლევა,” 2017
7. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, 2018
8. Erica Richardson, Nino Berdzuli, „Health system review - Georgia,” 2017
9. World Health Organization, „რამდენად შეუძლიათ ადამიანებს ჯანდაცვის მომსახურების საფასურის დაფარვა?,” 2021
10. Zenawi Zeramariam Araia, Nahom Kiros Gebregziabher, Araia Berhane Mesfun, „Self medication practice and associated factors among students of Asmara College of Health Sciences, Eritrea: a cross sectional study,” 2019
11. World Health Organization, 1998
12. World Health Organization, 1998, 2000, 2003.
13. Carmel M. Hughes, James C. McElney Ó Glenda F. Fle, „Benefits and risks of self medication,” 2012

SUMMARY

**Gumbaridze Lia, Gasoiani Nino, Baramidze Levan,
Chulukhadze Khvicha**

THE PRACTICE OF SELF-MEDICATION IN GEORGIA AND THE ASSOCIATED CONTEMPORARY ISSUES

**TSMU, THE DEPARTMENT OF PUBLIC HEALTH
MANAGEMENT, POLICY, AND ECONOMICS**

Introduction: Self-medication is a significant and growing public health issue worldwide, leading to various adverse consequences such as drug interactions, complications from incorrect dosages, and the development of drug resistance. In Georgia, self-medication has become a particularly prominent concern, driven in part by the country's high out-of-pocket expenditures on medicines, which account for 38% of total healthcare costs—ranking Georgia first among European nations. Despite this, the frequency of outpatient medical visits remains low, at only 3.6 visits per capita per year, compared to the European average of 7.6. This low engagement with formal healthcare services has contributed to the widespread practice of self-medication in the country.

The aim of this study was to assess the prevalence of self-medication in Georgia, analyze the factors driving this behavior, and evaluate its public health implications.

A quantitative survey was conducted with 310 randomly selected adults.

The findings revealed that a large majority (93.1%) of participants reported engaging in self-medication, especially for mild illnesses (70.6%). The sources of information for self-medication were varied, with 60.6% of participants relying on the experiences of relatives, 38.8% on pharmacists, and 38.8% on previous prescriptions. A significant factor contributing to self-medication was the low level of trust in medical professionals, with many participants citing negative experiences with healthcare providers and the high cost of medicines. Additionally, 42.6% of respondents used antibiotics without a doctor's prescription, mainly for common symptoms like fever (55.7%) and sore throat (54.2%). The study also found that 54.7% of respondents considered medicines to be less affordable, highlighting the financial barriers to proper medical care. These findings suggest the urgent need for policy reforms, including strengthening primary healthcare, improving doctor-patient relationships, and regulating pharmaceutical marketing practices to reduce the reliance on self-medication in Georgia.